



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1083
06/06/2018

ქალაქი ბათუმი

1083-05-4-201806061259



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებისათვის მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2622 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებისათვის მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის უფლებამოსილების მინიჭების შესახებ“ ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 06 დეკემბრის №2622 ბრძანებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროს სპეციალისტს შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში მიენიჭოთ უფლებამოსილება, საჭიროების შემთხვევაში, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დაადგინონ უფლების დამადასტურებელი დოკუმენტით გათვალისწინებული მიწის ნაკვეთის ან/და საჯარო რეესტრში დაუზუსტებელი საკადასტრო მონაცემებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის და მიწის ნაკვეთის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე ასახული მიწის ნაკვეთის იდენტურობა, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სარეგისტრაციო დოკუმენტაციის საფუძველზე უტყუარად დგინდება მიწის ნაკვეთის ფაქტობრივი მდებარეობა.

ბ) ბრძანების მესამე პუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დამტკიცდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის განყოფილების III რანგის I კატეგორიის უფროსი სპეციალისტების მიერ გამოსაცემი მიწის ნაკვეთის იდენტურობის დადგენის მიზნით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - ბრძანების ფორმა დანართი №1 №2 №3 №4 №11-ის შესაბამისად.“.

5. დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის

მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას (ნ. ქოქოლაძე) ბრძანების გაცნობა (მიწოდება) დაინტერესებულ მხარეებზე.

6. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელს მირზა ბახტაძეს.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

